№4

აპრილი, 2022წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

პრემიერი ბოლნისში

გვ:2

საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები ახალ შენობაში გადავიდა

გვ:2

ქართულ-გერმანულ მხარეებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

გვ:6

პრემიერი ბოლნისში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რეგიონული ტურნეს ფარგლებში,

ბოლნისში იმყოფებოდა, სადაც 50 ჰა-ზე გაშენებული ნუშის, კაკლისა და ქლიავის ბაღები დაათვალიერა - სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში შპს „აგრო ბალავარმა“ და შპს „აგრო ბალავარი+“-მა ბაღის გაშენებისთვის 247,000 ლარზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს. მათ ასევე ისარგებლეს „შეღავათიანი აგროკრედიტით“, რომლის ფარგლებშიც სესხის ოდენობამ 768500 ლარი შეადგინა. დამატებით, შპს „აგრო ბალავარ+“-მა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 35% თანადაფინანსებით 22 500 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიიღო. მთავრობის მეთაურის თქმით, ფერმერების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს, ხელს უწყობს ქვეყანაში ევროპული სტანდარტების მრავალწლოვანი ბაღების გაშენებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, პროგრამების ხელმისაწვდომობა კიდევ მეტად გაიზარდოს. როგორც ადგილობრივმა ფერმერმა, ქეთევან ისიანმა აღნიშნა, რომ არა სახელმწიფო დაფინანსება და ხელშეწყობა, ბაღების გაშენება დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“ ქვემო ქართლის რეგიონში ახალი, მრავალწლოვანი ბაღის გაშენება 3000 ჰექტარზე მეტ ფართობზე დაფინანსდა. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 16 მლნ ლარს აღემატება. ქვემო ქართლის რეგიონში, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაცემულია 414 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსება კი 61 მლნ ლარს აღემატება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბოლნისში, იოსებ ქობულაძის ღვინის მარანშიც იმყოფებოდა, რომელიც 2021 წელს, სახელმწიფო პროგრამა – „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში 30 000 ლარით დაფინანსდა. “ქობულაძის მარანს” არაერთი ჯილდო აქვს მიღებული, 2017 წლიდან ფუნქციონირებს და საფერავის, რქაწითელისა და ევროპული სახეობის ღვინოებს აწარმოებს. როგორც მეღვინემ აღნიშნა, სახელმწიფო პროგრამით დაფინანსების შედეგად მან 10 ტონის მოცულობის 7 ქვევრი, ასევე უუანგავი ფოლადის ავზები და ღვინის საფილტრი შეიძინა. მისივე განცხადებით, რომ არა ხელშემწყობი პროგრამები, პროექტი ვერ განხორციელდებოდა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ქართველი მეწარმეების დაფინანსებას. 2018 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ქობულაძის მიერ წარმოებული რქაწითელი ოქროს მედლით დააჯილდოვა. საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე, რქაწითელის ღვინო ოქროს მედლით 2019

წელსაც დაჯილდოვდა. პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგილზე მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი დოხტურიშვილი, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანი იმყოფებოდნენ.

ბოლნისის მუზეუმში ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

ბოლნისის მუზეუმმა, ევროკავშირის მხარდაჭერით, ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ახალი პროექტის პრეზენტაციას უმასპინძლა, რომლის მიზანი ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია, კარგი მმართველობის ხელშეწყობა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაა.

პრეზენტაციას სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში გიორგი დოხტურიშვილი, ბოლნისის, დმანისის და მარნეულის მუნიციპალიტეტების მერები, არასამთავრობო ორგანიზაციების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

პრეზენტაციაზე დეტალურად იქნა ჩაშლილი სამიზნე ჯგუფები და მიზნები, სადაც 4 ძირითადი მიმართულებაა გამოკვეთილი. პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გაძლიერებას, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა, ანგარიშგება და ხელი შეეწყოს საზოგადოებრივ ჩართულობის გააქტიურებას როგორც ბიუჯეტირების, ისე დაგეგმარების პროცესში; საზოგადოებრივი ორგანიზაციების და აქტივისტთა ჯგუფების გაძლიერებას და ფინანსურ თანადგომას, ბენეფიციარების საჭიროებებზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანიების განხორციელების მიზნით; მცირე და საშუალო ბიზნეს ორგანიზაციების გაძლიერებას და ფინანსურ თანადგომას; ადგილობრივი და რეგიონული მედია საშუალებების გაძლიერებას, რათა მართებულად იყოს გაშუქებული ადვოკატირების კამპანიების მიმდინარეობა და შედეგები. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ის 42 თვე გაგრძელდება.

საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები ახალ შენობაში გადავიდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტს ახალი სივრცე შეემატა სადაც საბავშვო და საქალაქო ბიბლიოთეკები განთავსდა, გაუმჯობესდა თანამშრომელთა სამუშაო გარემო, აქ მკითხველებს ადაპტირებულ, თანამედროვე სტანდარტის შესაბამის გარემოსთან ერთად, წიგნის ფონდის თბილი და მომღიმარი მცველები დახვდებიან. რეაბილიტირებული სივრცეები ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად დაათვალიერა, დავით შერაზადიშვილმა თანამშრომლებს ახალ სივრცეში გადასვლა მიულოცა და წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ჟანრის წიგნები საჩუქრად გადასცა. წლების მანძილზე ბიბლიოთეკები სტანდარტებთან შეუსაბამო გარემოში ფუნქციონირებდა, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით კი ყოფილ საქალაქო რეესტრის შენობას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და მოხდა სივრცეების ტექნიკურად განახლება.

ბიბლიოთეკებში წიგნის ფონდი ყველა ასაკის მკითხველზეა გათვლილი, აქ დასაქმებული ოცზე მეტი თანამშრომელი, დიდი მონდომებითა და ხალისით ემსახურება, საბიბლიოთეკო სერვისებით დაინტერესებულ საბავშვო და ზრდასრულ სეგმენტს.

,,ბოლნისის ორი ბიბლიოთეკა ახალ მისამართზე გადავიდა. საბავშვო და საქალაქო ბიბლიოთეკები წლების განმავლობაში სტანდარტებთან შეუსაბამო გარემოში ფუნქციონირებდა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, გამოიძებნა ახალი შენობა, რომლის სრული რეაბილიტაცია განვახორციელეთ.

დღეს ახალი საბიბლიოთეკო სივრცე მოვინახულე და წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ორივე ბიბლიოთეკას საჩუქრად

სხვადასხვა ჟანრის წიგნები გადავეცი, რითაც წიგნადი ფონდი კიდევ უფრო შეივსება. სწორედ წიგნიერი და ერუდირებული თაობა არის ჩვენი ქვეყნის წარმატების საწინდარი“,- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

საერთაშორისო არასამთავრობო ასოციაციამ სოფელ ტალავერში საინფორმაციო შეხვედრა გამართა

საერთაშორისო არასამთავრობო ასოციაცია "მერსი ქორფსის" წარმომადგენლობამ საქართველოში, აიპ ბოლნისის კულტურის ცენტრის ახალგაზრდობის განყოფილებასთან თანამშრომლობით, ტალავერის სათემოში პროექტის „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარების" ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროექტის პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც დეტალურად მიმოიხილეს დაგეგმილი აქტივობები.

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE) არის 3.5 წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს ,,მერსი ქორფსის" წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით.

პროექტის განხორციელების მხარდამჭერები არიან ლიბერთი ბანკი და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე) სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულების ბიზნესების მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

პროექტის აქტივობები ფოკუსირებული იქნება ახალგაზრდების სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობზე, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობაზე. მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მათ დასაქმებაში/თვითდასაქმებაში დაეხმარება.

პროექტის გავლენა

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობის

მეშვეობით, ადგილობრივი მდგრადი ეკონომიკური განვითარების პროცესების ხელშეწყობა.

პროექტი განხორციელდება 42 თვის განმავლობაში (2021 წლის დეკემბერი – 2025 წლის მაისი) საქართველოს ოთხი რეგიონის მასშტაბით, რაც მოიცავს 18 მუნიციპალიტეტს:

ქვემო ქართლი – რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, წალკა

სამცხე-ჯავახეთი- ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა

შიდა ქართლი- გორი, ქარელი, კასპი მცხეთა-მთიანეთი -მცხეთა, დუშეთი, თიანეთი.

სამიზნე ჯგუფი

პროექტის სამიზნე არეალებში მცხოვრები, 18-35 წლის, მეწარმეობით დაინტერესებული

პირები, მოქმედი ან დამწყები მეწარმეები.

პროექტი ხელს შეუწყობს 1,500-ზე მეტ ახალგაზრდას (50% ქალი), ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლებს, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრებს, ეკომიგრანტებს, იძულებით გადაადგილებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, განივითარონ სამეწარმეო უნარები და შესაძლებლობები, რათა

შექმნან 50-ზე მეტი მდგრადი, ახალი ან/და გააფართოვონ უკვე არსებული,

ახალგაზრდების მიერ მართული სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო საწარმო/ბიზნესი.

პროექტის შედეგი

ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მონაწილეობისა და მათი კეთილდღეობის

ხელშეწყობა სამეწარმეო უნარების განვითარებისა და ახალგაზრდული საწარმოების მხარდაჭერის შედეგად.

შედეგი 1. გაძლიერებული უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები მეწარმეობის სფეროში.

შედეგი 2. ახალგაზრდა მეწარმეებისთვის გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ფინანსებზე, ბიზნესის

განვითარების სერვისებზე და საბაზრო კავშირებზე.

შედეგი 3. ახალგაზრდების მიერ მართული და ახლად შექმნილი საწარმოებისათვის გენდერული

ჩართულობის და შესაბამისი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საბაზისო ტრენინგები დაიწყება 2022 წლის მაისში. რეგისტრაციის ბოლო ვადაა 31 მაისი. რეგისტრაცია მიმდინარეობს ონლაინ, შემდეგ ბმულზე: www.bit.ly/3iOI8bi

დედამიწის დღესთან დაკავშირებით, სოფელ მუშევანსა და ქვეშში დასუფთავების აქცია მოეწყო

22 აპრილს 193-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად დედამიწის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრების" მხარდაჭერით, დასუფთავების აქცია მოაწყო.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, პირველ მოადგილე ბუბა გობეჯიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ მუშევანსა და ქვეშში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაბინძურებული ტერიტორიები დაასუფთავა.

აღსანიშნავია, რომ დასუფთავების აქციაში მონაწილეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო და კერძო სკოლების ახალგაზრდული კლუბების წევრმა მოსწავლეებმაც მიიღეს. დასუფთავების აქცია კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო"-ს ფარგლებში მოეწყო.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია სისტემატურად ატარებს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დასუფთავების აქციებს. დღეს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, მერიისა და კომუნალური სამსახურების თანამშრომლებთან ერთად სოფელ მუშევანის ხევი და ქვეშის ციხის ტერიტორია ნარჩენებისგან გავწმინდეთ. სასიხარულოა, რომ ამჯერად, აქტივობაში,

მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლის ახალგაზრდული კლუბის წევრებიც ჩაერთნენ, სწორედ მომავალი თაობებისთვის არის მნიშვნელოვანი ცნობიერების ამაღლება, რაც გარემოზე ზრუნვას უკავშირდება. სუფთა საცხოვრებელი გარემო თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის საკითხია", - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

წონასწორობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია, მუდმივად იმოძრაო და იარო წინ

„მასწავლებელი, მოსწავლეების მსგავსად, მუდმივად სწავლისა და განვითარების პროცესში უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს მხარს ვუჭერ სხვადასხვა პროექტებში მიიღონ მონაწილეობა, აქტიურად ვესწრები ტრენინგებს

განსხვავებულ თემებზე, ეს მეხმარება არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ პიროვნულ განვითარებაში. კარგი მასწავლებელი მუდმივად ცოდნისა და გამოცდილების ძიებაშია, როგორც კი წყვეტს ახლის სწავლას, მასში კვდება მასწავლებელი“.

ია ნიქაბაძე დაბა კაზრეთის 2 საჯარო სკოლის ინგლისურისა და რუსული ენების პედაგოგია, ის მუდმივად ახლის ძიებაშია, სწავლობს და ასწავლის, მუდმივად იზრდება პიროვნულად და პროფესიულად. არ იღლება, წლების მანძილზე არაერთი ჯილდო და დიპლომი აქვს მიღებული, არის უფროსი მასწავლებელი, 2019 წელს, წლის საუკეთესო პედაგოგის ხუთეულში შევიდა. თანამშრომლობს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციასთან, გავლილი აქვს პროფესიული განვითარების პროგრამები, მისი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. მის უამრავ წარმატებას კიდევ ერთი შეემატა, რამდენიმე კვირის წინ „კინგსისგან“ მიიღო დიპლომი, რაც პედაგოგისთვის კიდევ მეტი სტიმულია, წინ უამრავი გეგმა აქვს, რომლის განხორციელებას უახლოეს მომავალში აპირებს.

-გვიამბეთ ბავშვობაზე, სტუდენტობაზე.

-დავიბადე და გავიზარდე ბოლნისის რაიონში, დაბა კაზრეთში. აქ გავატარე მთელი ბავშვობა. შემდგომ ჩავაბარე ლინგვისტიკის ინსტიტუტში ინგლისურ-თურქული ენების მიმართულებაზე. 1997 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დავბრუნდი მშობლიურ სკოლაში და უკვე 25 წელია აქ ვმოღვაწეობ ჩემი სპეციალობით.

-რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ მასწავლებელი, რატომ აირჩიეთ და რამდენი წელი ემსახურეთ ამ პროფესიას?

-ვარ უცხო ენების სპეციალისტი. ჩემი არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ უცხო ენის შესწავლა არ არის მხოლოდ ენის შესწავლა - არამედ მასთან ერთად ჩვენ შევისწავლით უცხო ქვეყნის კულტურასა და ისტორიას. უცხო ენების სწავლამ საშუალება მომცა გამეფართოვებინა მსოფლმხედველობა და გამეცნო სხვადასხვა ქვეყნები. უცხო ენის მასწავლებლის პროფესიაც ავირჩიე სწორედ ამიტომ - მინდა ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო ახალგაზრდებს და ხელი შევუწყო მათ პიროვნულ, თუ სამომავლო პროფესიულ განვითარებაში. ვთვლი, რომ სწორედ მასწავლებელს მიუძღვის თაობათა აღზრდაში უდიდესი წვლილი - ახალი თაობა ხომ ჩვენი მომავალია.

როგორ შეაფასებდით თაობათა ცვლას?

- ვთვლი, რომ დღევანდელ თაობას აქვს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები - მათ მარტივად შეუძლიათ ჩაერთონ აქტივობებში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა თუ ბანაკებში. ყოველთვის ვცდილობ მოსწავლეებს ხელი შევუწყო იყვნენ აქტიურები და მაქსიმალურად გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რაც მათ წინაშეა. ძველ თაობას არ ჰქონდა ამდენი შესაძლებლობა - თუმცა ახალგაზრდები დღესაც და ადრეც - მოტივირებულები იყვნენ უცხო ენის სწავლაზე და არ იშურებდნენ ძალისხმევას წარმატების მისაღწევად.

-რა არის თქვენი ცხოვრების დევიზი?

-„გუშინ - ოცნება; დღეს - მიზანი; ხვალ - რეალობა.“ მიმაჩნია, რომ ცხოვრება არის როგორც ველოსიპედი - წონასწორობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მუდმივად იმოძრაო და იარო წინ.

-თქვენი გადმოსახედიდან, რას შეცვლიდით და რას ისურვებდით?

-დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე,

პირველ რიგში ვისურვებ მშვიდობას. მშვიდობა არის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ სწავლა და განვითარება.

-რას ურჩევთ ახალგაზრდა პედაგოგებს?

-ახალგაზრდა პედაგოგებს ვეტყოდი, რომ პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება ყოველთვის სირთულეებით არის სავსე. როდესაც პირველად დავიწყე მასწავლებლობა, ვნერვიულობდი იმაზე, თუ რამდენად გავართმევდი თავს ამ დიდ პასუხისმგებლობას, არ ვიცოდი, როგორ მიმიღებდნენ მოსწავლეები და რამდენად კარგად შევძლებდი მათთან ურთიერთობის დამყარებას. თუმცა, მნიშვნელოვანია ასევე კოლეგების როლიც - ბევრი მათგანი მზადაა დაგეხმაროს ამ სირთულეების გადალახვაში და საკუთარი გამოცდილებით მოგცეს რჩევები. ნუ შეუშინდებით სირთულეებს - ყოველთვის ეცადეთ მიაღწიოთ დასახულ მიზნებს. თქვენ უნდა იყოთ მაგალითი იმისა, რომ ყველაფერი გამოუვათ და არ არსებობს გადაულახავი დაბრკოლება.

მადლობას გიხდით საინტერესო საუბრისთვის და გისურვებთ წარმატებებს.

მაგდა დევნოზაშვილი

„რაც მიხარია, რაც მწყინს, რასაც ვგრძნობ, ფანქრით ფურცელზე გადმოვაქვს“

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევ ტურზე ჩვენი გადამღები

ობიექტივის ყურადღება ნამუშევრების ერთ-ერთმა კუთხემ მიიქცია, სადაც იყო წარმოდგენილი ადგილობრივი თვითნასწავლი შემოქმედის ხათუნა პარკაულის ნაშრომები. თემატურად დატვირთულ და მრავალფეროვან ნახატებში, დამთვალიერებლისა და სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას, მინაზე სათუთად და მრავლისმეტყველად ამოკაწრული ნახატები იპყრობდა.

ხათუნა პარკაული ბავშვობიდან ხატავს, პირველი ნახატი დღემდე აქვს შენახული და იმ გასულ წლებს ახსენებს, რომელიც დღემდე შემოქმედებით გამოიარა, სადაც თითოეულ ნახატში ჩადო წარმატება, სიყვარული, სითბო და კეთილდამოკიდებულება.

ხათუნას შემოქმედება მრავალფეროვანია, სიუჟეტურად დატვირთული. პალიტრის ნათელ ფერებში, ავტორის შინაგანი განწყობა იგრძნობა. მისი ნახატები დამთვალიერებლებზე დადებითად მოქმედებს. ფერების თბილი და მკვეთრი სინთეზი, ერთიანობაში საინტერესო და თან მისტიურ სანახაობას ქმნის. განსაკუთრებით კი დიდ ინტერესს, მინაზე ნახატები იწვევს, რომელიც საკმაოდ შრომატევადი, რთული და სათუთად, სიზუსტით შესასრულებელია.

„საკმაოდ რთულია მინაზე მუშაობა. თავიდან ვკაწრავ კონტურებს პაბედიტით, შემდეგ ვქლიბავ და გავდივარ ჩრდილებზე, რომელსაც ასევე აღიშნული ხელსაწყოს წვერით ვარტყავ შუშას და ვადებ ჩრდილებს. ერთი უზუსტო დარტყმა და შეიძლება დასრულებამდე მისული ნახატი გატყდეს და ამდენი შრომა წყალში ჩაგეყაროს“.

ხათუნა პარკაული პროფესიით კერამიკოსია თუმცა, პროფესიით, ძვირადღირებული რესურსიდან გამომდინარე, სტუდენტობის მერე აღარ უმუშავია, გული სწყდება, რომ ხელსაქმეს ვეღარ ეკიდება და მოსწავლეებს, რომლებსაც ხატვას ასწავლის, კერამიკაზე მხოლოდ თეორიულად ესაუბრება.

მრავალი ნაშრომების ავტორს უჭირს გახსენება,

რა რაოდენობის ნახატი აქვს, ბევრი გააჩუქა, ბევრიც გაყიდა, უჭირს რომელიმე ნახატის გამორჩევა და სიყვარული, რადგან თვლის, რომ ყოველი მათგანი იმდენად მისია და

თავისებურია, რომ გამორჩევა შეუძლებელია. ყველა ნახატს თავისი ისტორია და წარსული

აქვს, რადგან ექსპრომტად მოსული იდეა, ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ტოვებს ქაღალდსა და მინაზე.

„ჩემი ნახატები ყოველთვის რაღაციდან მოდის, რაც მიხარია, რაც მწყინს, რასაც ვგრძნობ, ფანქრითა და პაბედიტით ვამბობ. მქონდა მომენტი, ქუჩაში ატირებული, სრულიად უცნობი ქალბატონი დამინახავს და ფურცელზე, ზუსტად იგივე განწყობით გადამიტანია, ჩემი შინაგანი განწყობაც პალიტრასავითაა, ჩემი კონტურივით და ჩრდილივით, მთელი შეგნებული ცხოვრების გზაზე მიფიქრია თუ რაოდენ მცირეა გზა სიყვარულისთვის, გაგებისთვის და პატივისცემისთვის. ამქვეყანაში, ღმერთის წყალობით ვართ, მისი რწმენით, იმედით და სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ, ვიმოქმედოთ და ვაკეთოთ საქმე, რომელიც გვიყვარს.

მარინა გავაშელი

გაიცანით ნიჭიერი ბოლნისელი ახალგაზრდა

სიყვარულით ანთებული გული, მასზე დაფუძნებული ღირებულებები, გრძნობა, რომელიც ჩვენი გმირისთვის ყველაფრის საწყისია. ბიჭი, რომელზეც რუბრიკაში

გიამბობთ, №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე დიმა თეიმურაზიანია. ის, სკოლის თითოეულ საგანს და სახელოვნებო წრეებს, ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება და ყველაფერში წარმატებულია. დიმას ნახატმა, რომელიც კონკურსის „წელიწადის დროები“ ფარგლებში დახატა, გაიმარჯვა და დაიბეჭდება სკოლის სამაგიდო კალენდარში. დიმა ბავშვობის ოცნებასაც გვიმხელს, უნდოდა მეცნიერი ყოფილიყო, თუმცა ჯერ ისევ ფიქრის პროცესშია, მაგრამ ზუსტად იცის, მისი მომავალი პროფესია ჰუმანიტარულ საგნებს უკავშირდება. ცდილობს არ ჩამორჩეს არცერთ საგანს, რათა მრავალმხრივი განათლება მიიღოს. სასკოლო ცხოვრების გარდა, არა ერთი მიმართულებითაა დაკავებული, ჩართულია პროექტებში. იძულებითი დისტანცია, ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ჩვენი გმირისთვის.

-ვინ არის დიმა თეიმურაზიანი?

-მე ვარ დიმა (დიმიტრი) თეიმურაზიანი. ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის 1 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, ასევე ვარ ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრისა და ბოლნისის ახალგაზრდული სახლის მოხალისე.

-მოგვიყევი შენს შესახებ

- დაკავებული ვარ ბევრი რამით, კონკრეტულად, სახელოვნებო დარგებით (სიმღერით, ხატვით, ქსოვით, ქარგვით, ფორტეპიანოთი...) დავამთავრე ბოლნისის მუსიკალური სკოლა, ფორტეპიანოს განხრით. ასევე დავდივარ სიმღერაზე: პედაგოგი ნინო დვალიშვილი. მიყვარს ჰუმანიტარული საგნები (ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენები...) მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე არ მიყვარს ტექნიკური საგნები, ყველამ ვიცით, რა მნიშვნელოვანია ზოგადი განათლება.

-მომიყევი სკოლის კედლებში გატარებულ წლებზე, რა შეცვალა პანდემიამ...

-სკოლა არის ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. მიყვარს ენერგიით აღსავსე დილა , როდესაც სიხარულით მივდივარ სკოლაში. პატარობაში ძალიან სუსტად ვსწავლობდი (ახლა კარგად), ძალიან მიჭირდა მათემატიკა. მაგრამ როცა ადამიანი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, ყველაფერს დაძლევს. რა თქმა უნდა დიდი წვლილი აქვთ მასწავლებლებს. ჩვენი სკოლის მასწავლებლები საყვარლები, თბილები და რაც მთავარია, პროფესიონალები არიან. მე-6 კლასიდან ჩემი დამრიგებელია ნინო ყურაშვილი- თბილი, მომთმენი და ყურადღებიანი მასწავლებელი. ჩვენი კლასი მოუსვენარი და ცელქია, მაგრამ მეგობრული და ხალისიანი. ვცდილობ ყოველი დღით დავტკბე და ვისიამოვნო ყოველი წამით. პანდემიამ, რა თქმა უნდა, შეამცირა სწავლის ხარისხი, სულ სხვაა, როცა კლასში, თანაკლასელებთან ერთად, დისკუსიას ვმართავთ, ვმსჯელობთ და ვიგებთ ერთმანეთისგან ახალს, მასწავლებელიც გვიხსნის და გვისწორებს, მაგრამ ვფიქრობ, ვისაც რეალურად სურს სწავლა, ნებისმიერ ფორმატში შეძლებს.

-გაქვს გამორჩეული საგანი, თუ ყველას ერთნაირი მონდომებით ამზადებ?

- დიდ დროს ვუთმობ: ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას და ენებს. სხვა საგნებსაც გარკვეულ დროს ვუთმობ, ვცდილობ, არცერთ საგანს ჩამოვრჩე, რათა მრავალმხრივ განვითარებული ვიყო.

-ხელოვნების რომელ დარგთან გაქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება და რატომ?

-მუსიკასთან, რადგან მუსიკა მიქმნის განწყობას და ჩემი ცხოვრების თანამგზავრია, ელემენტარული ბუნების ხმებიც კი გენიალურ ჰარმონიას ქმნის. არამგონია პროფესიად ვაქციო, მაგრამ ჰობად აუცილებლად დარჩება.

-დიმა, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას და რა პროფესია აირჩიე?

-უმეტესად, ჩემი პროფესია ჰუმანიტარულ საგნებს უკავშირდება და ამჟამად ორიენტირებული ვარ ქართულ ფილოლოგიაზე, რადგან მიყვარს ენების ძირფესვიანად შესწავლა, „ასევე ვფიქრობ, რომ 16-17 წლის ასაკში ადამიანი არ არის ვალდებული იცოდეს, თუ რა უნდა მას ცხოვრებაში“ (ეს დათო ტურაშვილის სიტყვებია). ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ მაქვს, ჯერ ისევ ფიქრის პროცესში ვარ.

-გარდა სასკოლო პროგრამისა, ჩართული ხარ არაერთ პროექტში, მოგვიყევი?

-მე ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის, ბოლნისის ახალგაზრდული სახლის, ჰელფინგ ჰენდისა და ჰერა 21 მოხალისე ვარ, ბოლნისის ახალგაზრდული სახლის მმართველია ანანო უგრეხელიძე, ანანო ბევრ პროექტებსა და აქტივობებზე გვაგებინებს, მისი დამსახურებაა, რომ ამჟამად ვარ ჩართული გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოცხადებულ პროექტში, რომელსაც მხარი დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჰელფინგ ჰენდმა „ მოზარდი მოხალისეების ჩართულობა პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ“. გასაუბრება გავიარე და 2 ადამიანი აგვირჩიეს ბოლნისიდან მე და გვანცა ჩოქური, ჩვენ თელავში ჩაგვიტარდა სამდღიანი სესიები, სრულად დაგვაფინანსეს და ახლო მომავალში ვაპირებთ ჰიგენური კლუბების ჩამოყალიბებას. ასევე ამ წელს „ქვემო ქართლის რეგიონალურმა ჰაბმა“ გამოაცხადა პროექტი და ამ პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა რეგიონებში დაფუძნდა ახალგაზრდული საბჭოები და მე ბოლნისის ახალგაზრდული საბჭოს წევრი ვარ განათლების განხრით.

-რა გავლენა მოახდინა პანდემიამ შენს ცხოვრებაში?

-პანდემიამ შეცვალა ჩემი ცხოვრების ფორმატი, მაგრამ პანდემიის დროს ყოველთვის ვცდილობდი სახლში შემექმნა განწყობა და არ დავთრგუნულიყავი.

-თუ გაქვს თავისუფალი დრო და რისი კეთება გიყვართ ამ დროს?

-თავისუფალ დროს ვკითხულობ მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას ასევე ვხატავ, ერთი თვის წინ, სასკოლო კონკურსში მივიღე მონაწილეობა და 12 გამარჯვებული ნახატიდან, ერთ-ერთი ჩემი გახდა,რომელიც სასკოლო კალენდრისთვის დაიბეჭდება.

-პანდემიის პერიოდში, ბევრი თავისუფალი დრო გაჩნდა და ადამიანებმა, საკუთარ თავში არაერთი უნარი აღმოაჩინეს, შენც ხომ არ ხარ მათ რიგში?

-ჩემში აღმოვაჩინე შრომისმოყვარეობა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ურთიერთობები და კომუნიკაცია.

-საყვარელი პოეტი, მწერალი....

-ზოგადად ძალიან რთულია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, იმიტომ რომ ყველა მწერალი თავისებურად მიყვარს, მაგრამ გამორჩეულად, დანტე ალიგიერი, მისი ერთადერთი ნაწარმოები, გენიალური შედევრი „ღვთაებრივი კომედია“.

-ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხე

-ბოლოს, სკოლაში არჩევითი საგნიდან, რომელსაც ჩემი საყვარელი მასწავლებელი ნინო გიორგაძე მასწავლის, წავიკითხე დათო ტურაშვილის „ თავისუფალი ადამიანი“, ახლა ვკითხულობთ დათო ტურაშვილის „სხვა ამსტერდამს“ ხოლო ზოგადად, სკოლის გარეთ, ბოლოს გადავიკითხე თეოდორ დრაიზერის - და კერი.

-სამომავლო გეგმები...

-ზოგადად, არც ვცდილობ წარმოვიდგინო, რა იქნება მომავალში, რადგან ყოველი დღე სიურპრიზებითაა აღსავსე.

-რა არის ამჟამად, შენს ცხოვრებაში, ყველაზე მთავარი?

-ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია სიყვარული, მის გარეშე ვერაფერი იარსებებს და საერთოდ, სიყვარული ფართო მცნებაა და ბევრი საუბარი მომიწევს....ასევე ჩემი მიზანია, ჩავაბარო სასურველ ფაკულტეტზე, აქედანვე ვიზრუნო ჩემს მომავალზე, ეს უმთავრესია.

-დიმა, ამბობ სიყვარულია მთავარიო, შენი განმარტება მაინტერესებს

-დიახ, სიყვარულია ჩემთვის მთავარი და სიყვარული ის ძალაა, რაზეც დგას ეს სამყარო, სიყვარული ყველგანაა, უბრალოდ, საკმაოდ ფართო მცნებაა და სამწუხაროა, რომ ბევრი ადამიანი სხვაგვარად აღიქვამს

- ცხოვრებაში წარმატება ჩემთვის ნიშნავს...

-წარმატებაა, როცა გყავს მოსიყვარულე ოჯახი, გაქვს ოცნებები, რომლებსაც მიზნებად აქცევ და ამ მიზნების მისაღწევად ირჩევ სწორ და სამართლიან გზას, როცა საზოგადოებისგან აღიარებას შენი ნიჭით და შრომისმოყვარეობით მიაღწევ.

-ვინ არის შენთვის მისაბაძი?

-ვერ გეტყვით, რომ კონკრეტული პიროვნება არსებობს, უბრალოდ ეს შეიძლება იყოს დაწყებული წიგნის

გმირიდან, დამთავრებული, ვიღაც უცნობი ადამიანით, რომლის კონკრეტულმა საქციელმაც დამაფიქრა.

-დიმა, როგორც ვიცი ძალიან თბილი ადამიანი ხარ, მოგვიყევი მეგობრებზე, ოჯახზე... ასევე ვიცი, რომ განსაკუთრებულად გიყვარს ბიცოლა.

-კი თბილი ვარ, მიყვარს ადამიანები, საკმაოდ ბევრი მეგობარი მყავს, მათ მე ვეხმარები, ისინი მე. ჯერ-ჯერობით არცერთ ადამიანთან არ მაქვს ცუდი ურთიერთობა. ბიცოლას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში, მასთან მე ყველაზე გახსნილი ვარ და ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობთ, ასევე ბიცოლას, ჩემს პიროვნულ განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი / ოჯახი ძალიან მიყვარს, ცუდია, რომ გვიან მივდივარ სახლში და ოჯახის წევრებთან დიდ დროს ვერ ვატარებ, ძალიან მიყვარს დედა, მას რომ ვეხუტები შვებასა და სითბოს ვგრძნობ.

-გაქვს რაიმე დამალული ნიჭი ან ჰობი?

- ვწერ ლექსებსა და პატარა ჩანახატებს, მაგრამ ძალიან პირადია და არავის ვუკითხავ.

-რამდენად არის დამოკიდებული წარმატება ბედნიერ შემთხვევაზე?

-ვფიქრობ, წარმატება დამოკიდებულია ჩვენზე და ჩვენს მიზანდასახულობაზე, რაც შეეხება ბედნიერ შემთხვევას, ეს უბრალოდ შეიძლება იყოს სანთელი, რომელიც გაგინათებს გზას და მერე ჩაქრება, ხოლო მთავარი ფარანი ჩვენს ხელშია და თვითონ უნდა გავინათოთ გზა წარმატებისკენ.

-ბავშვობის ოცნებები და მიზნები

-ბავშვობაში ყოველთვის მინდოდა მეცნიერი ვყოფილიყავი.

-რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ შენს შესახებ?

-მიუხედავად ყველანაირი სიძნელეებისა, არასოდეს დავნებდები.

-რას ეტყოდი მათ, ვინც ახლა გადის იმ გზას, რომელიც შენ გაიარე?

-ვეტყოდი, რომ არ ეშინოდეთ შეცდომების დაშვების, რეალურად ადამიანი იმისთვის იბადება, რომ შეცდომები დაუშვას. ასევე ვურჩევდი გულთან ახლოს არაფერი მიიტანონ და ბედნიერება ეძიონ წვრილმანებში, ბუნებაში ბედნიერება სულ ახლოსაა, უბრალოდ ადამიანები ძალიან შორს ვიხედებით.

-როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას?

-დამოუკიდებელ, თავისუფალ, მშვიდობიან და მრავალფეროვან ქვეყანაში.

-დაგვისახელე მომავალი წარმატებული ადამიანი, ვის ხილვასაც ისურვებდი ჩვენს რუბრიკაში.

-ანანო უგრეხელიძე, ვკითხავდი მის სამომავლო გეგმებზე...

ავტორი:ნონა ხუბმიაშვილი

ი მ უ ნ ი ზ ც ი ა

იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან.

პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად. რუტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე.

სახელმწიფო უზრუნველყოფს შემდეგი ინფექციების - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, ბ ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ საწინააღმდეგო ვაქცინაციას. . გარდა ამისა 2019 წლიდან ხდება გოგონების აცრა ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით. . ჩამოთვლილი დაავადებების პროფილაქტიკა ხორციელდება 9 ვაქცინის საშუალებით,

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალედრის მიხედვით საქართველოში დანერგილია შემდეგი ვაქცინაცია:

BCG - დაბადებიდან 0-5 დღის განმავლობაში;
DPT-HIb-HepB,opv - 2.3.4 თვის ასაკში;
TETRA - 1-2 წლამდე და 5 წლის ასაკში;
APV - 10 – 18 წლის asalis გოგონები.
Hep B (მონო) - დაბადებიდან 12 საათის განმავლობაში;
MMR - 12 თვის და 5 წლის ასაკში;
ROTA - 2, 3 თვის ასაკში;
PKV – 2,4,12 თვის ასაკში
Td - 14 წლის ასაკში და შემდეგ ყოველ 5 წელიწადში 55 წლის ასაკამდე;

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი – ბავშვს სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისაგან , რომლის წინააღმდეგაც მას აცრები ჩაუტარდა.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამოდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

საქართველო განაგრძობს ახალი ვაქცინების დანერგვას ქვეყნის იმუნიზაციის კალენდარში. 2013 წელს დაიწყო იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

2014 წლიდან GAVI-ს მხარდაჭერით ტარდება პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ძირითადად თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარებისიშვიათი რისკი.

იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან შედარებით, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდაოა. აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის დროულად ჩატარების შემთხვევაში მცირდება აცრის

შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების რისკი.

აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურამ შესაძლოა მოიმატოს 38.50C-მდე, შეინიშნებოდეს ზოგადი აგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება და მტკივნეულობა. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს.

აცრის შემდგომ არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. თუმცა ვაქცინის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვაქცინირებული პირის (რეციპიენტის) ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე. სრულყოფილი იმუნიტეტის გამომუშავების თვალსაზრისით. პროგამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში.

. • მშობლებო, აიცერით და აცერით თქვენი შვილები !

ქართულ-გერმანულ მხარეებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

ქართულ-გერმანულ კულტურის ცენტრში ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრსა და „სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურის მემკვიდრეობის დაცვის კავშირს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი. მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის 200 წლიანი ისტორიის აღდგენა-გაგრძელება, რაც შვაბმა გერმანელებმა ბოლნისში ცხოვრების დროს შექმნეს.

,,ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმი ამ შენობის გარემონტება, მოვლა-პატრონობისა და მომავალი თანამშრომლობის შესახებ. მომავალში ვაპირებთ, რომ ერთად ვიზრუნოთ ბოლნისის კულტურულ მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე რათა უფრო მიმზიდველი გახდეს ბოლნისი უცხოელი ტურისტებისათვის,“-განაცხადა სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის თავმჯდომარემ, ოლივერ რაისნერმა.

ისტორიულ შენობაში განთავსებული მულტი კულტურული ცენტრი, მემორანდუმის ფარგლებში, შექმნის ალტერნატიულ, თანამედროვე სივრცეს კულტურის, განათლების, ინტელექტუალური და შემეცნებითი აქტივობებისთვის, იმუშავებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან და ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთ თანამშრომლობის გაღრმავებას. ორივე მხარის ჩართულობით დაიგეგმება და განხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ტურისტული მიმართულებით გაზრდის ცნობადობას ბოლნისზე. აღსანიშნავია, რომ ქართულ-გერმანული კულტურის ცენტრის ისტორიულ შენობას 2019 წელს რესტავრაცია- რეაბილიტაცია ჩაუტარდა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამაგრდა შენობის ფუნდამენტი, რესტავრაცია ჩაუტარდა ფასადს და სახურავს, ხოლო ბოლნისის მუნიციპალიტეტის თაოსნობით განხორციელდა შენობის ინტერიერის მოდერნიზება.

,, ჩვენ მრავალფუნქციურ ერთობლივ ღონისძიებებს გავმართავთ, გერმანული მხარე იმუშავებს რესტავრაციის თეორიულ და მეცნიერულ საკითხებზე, ამავდროულად სხვადასხვა კუთხით განავითარებენ ქართულ-გერმანულ კავშირებს რაც ისტორიულად არსებობდა ბოლნისის ისტორიაში, ხოლო მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

რა თქმა უნდა ამ პროცესებში სრულად იქნება ჩართული,“აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორმა სოსო კოპალეიშვილმა.

Beynəlxalq Qeyri-Hökumət Assosiasiyası Talaveri kəndində məlumatlandırma görüşü keçirib

"Mersi Korpusu" Beynəlxalq Qeyri-Hökumət Assosiasiyasının Gürcüstan üzrə nümayəndəsi AİP Bolnisi Mədəniyyət Mərkəzinin Gənclər Departamenti ilə birgə "Kəndlərin inkişafı naminə gənclərin sahibkarlıq fəaliyyəti" layihəsi çərçivəsində Talavera icmasında məlumatlandırma görüşü keçirib. İclasda iştirak edən ictimaiyyətə layihənin təqdimatı təqdim edilib, nəzərdə tutulan tədbirlərə ətraflı nəzər salınıb.

"Kənd İnkişafı üçün Gənclərin Sahibkarlığı" (RDYE),Mercy Corps Georgia tərəfindən Avstriya İnkişaf Əməkdaşlıq Təşkilatının (ADC) maliyyə dəstəyi ilə həyata keçirilən 3,5 illik layihədir. Layihə Liberty Bank tərəfindən dəstəklənir.

Layihənin məqsədi gənclərin (18 yaşdan 35 yaşa qədər) sahibkarlıq bacarıqlarını və biliklərini artırmaq, kənd təsərrüfatı və qeyri-kənd təsərrüfatı bizneslərinə dəstək olmaq, maliyyəyə çıxışı təşviq etmək və bazar əlaqələri yaratmaqdır.

Layihə fəaliyyətləri gənclərin sosial və iqtisadi iştirakına, onların rifahının yaxşılaşdırılmasına və sahibkarlıq potensialının təşviqinə yönəldiləcək. Əldə edilmiş bilik və bacarıqlar onlara məşğulluqda / özünüməşğulluqda kömək edəcəkdir.

Layihənin Təsiri: Hədəf bələdiyyələrdə gənclərin sahibkarlıq potensialını təşviq etməklə yerli davamlı iqtisadi inkişaf proseslərini asanlaşdırmaq.

Layihə 42 ay müddətində (dekabr 2021 - may 2025) Gürcüstanın 18 bələdiyyənin daxil olduğu dörd regionunda həyata keçiriləcək:

Coğrafi ərazi

Kvemo Kartli regionu: Rustavi, Marneuli, Bolnisi, Qardabani, Tetritskaro, Tsalka;
Samtsxe-Cavaxeti regionu: Borjomi, Aspindza, Adigeni, Axalsixe, Axalkalaki, Ninotsminda;
Şida Kartli regionu: Qori, Kareli, Kaspi;
Mtsxeta-Mtianeti regionu: Mtsxeta, Dusheti, Tianeti.

Hədəf qrupu: Sahibkarlıqla maraqlanan, layihənin hədəf bölgələrində yaşayan sahibkarlar, 18-35 yaş arası,hazırkı və ya yeni başlayan sahibkarlar.
Layihə ən azı 1500 gəncə (50% qadınlar), o cümlədən həssas və təcrid olunmuş qruplar (etnik və dini azlıqlar, yüksək dağ kəndlərinin sakinləri, məcburi köçkünlər, əlillər), onların sahibkarlıq bacarıqlarını və imkanlarını inkişaf etdirməyə kömək edəcək, 50 davamlı yeni və/vəya mövcud, gənclərin yaratdığı kənd təsərrüfatı və qeyri-kənd təsərrüfatı müəssisəsi.

Layihənin nəticəsi:
Sahibkarlıq bacarıqlarının inkişafı və gənclər müəssisələrinin dəstəklənməsi yolu ilə gənclərin sosial-iqtisadi iştirakının və onların rifahının yüksəldilməsi.

Layihə fəaliyyətləri
1 mərhələ - 1500-dən çox gənc üçün 2 günlük əsas sahibkarlıq təlimi.
2 mərhələ - Əsas təlimi müvəffəqiyyətlə bitirmiş 175 nəfər üçün bir həftəlik intensiv biznes təlim kursu.
3 mərhələ - 50 gənclər müəssisəsinin maliyyələşdirilməsi. İntensiv təlimdən sonra biznes plan müsabiqəsi keçiriləcək. Hər bir qalib biznes ideyası təqribən alacaq. 25.000 lari birgə maliyyələşdirmə (80/20).
4 mərhələ - Qalib sahibkarlar üçün maliyyə və vergi təlimləri.
5 mərhələ - Layihə gəncləri üçün fərdi və texniki məsləhətləşmələr, mentorluq proqramı. Alternativ maliyyə mənbələrinin tapılmasında və bazar əlaqələrinin qurulmasında dəstək.
Layihə çərçivəsində planlaşdırılan əsas təlimlər 2022-ci ilin may ayında başlayacaq. Son qeydiyyat tarixi mayın 31-dir. Qeydiyyat onlayn, aşağıdakı linkdə aparılır:www.bit.ly/3iOl8bi QR Qeydiyyat: QR Qeydiyyat:

Qoqi Meşveliani Darbazi kəndində gürcü dilinin tədrisi prosesində iştirak edib

Gürcüstan parlamentində Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalkanın majoritar deputatı Qoqi Meşveliani Bolnisi Mədəniyyət Mərkəzi və yerli özünüidarəetmənin təşkil etdiyi gürcü dili kursuna qatılıb.

Qeyd edək ki, bu ilin mart ayında Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalkadanın majoritar deputat Qoqi Meşvelianinin təşəbbüsü və Bolnisi Bələdiyyəsi və Mədəniyyət Mərkəzinin iştirakı ilə etnik qruplar üçün gürcü dili kurslarına start verilib. 16-30 yaşlı etnik azlıqların dövlət dilini öyrənmək imkanı var. Təlim Naxiduri, Talaveri, Kvemo Bolnisi və Darbazi gənclər icma mərkəzlərində həyata keçirilir.

"Bir çox Azərbaycan məktəblərində gürcü dili tədris olunsa da, hələ də ünsiyyət problemimiz olduğundan bu kursların ilk növbədə gənclərimizə verilməsini məqsədəuyğun hesab etdik. Biz hesab edirik ki, dövlət dilini öyrənmək ideyası və məzmunu həmvətənlərimizə tam inteqrasiyasına və ümumi vətənimizin yenidən qurulmasında hərtərəfli iştirak etmək imkanı yaratmaqdadır", - Qoqi Meşveliani bildirib.

Türkiyədən gətirilən dərmanları 7 böyük aptekdən almaq olar

Türkiyədən gətirilən dərmanları 7 böyük aptekdən almaq olar. Ucuz dərmanlar "Pharmadepo", "Aversi", "PSP", "İmpex", "GPC", "Pharmasakhlis" və "Doiche apteki"lər şəbəkələrində mövcuddur. Türkiyədən gətirilən və əczaçılıq müəssisələrinə tədarük edilən dərmanların siyahısı durmadan artır. Türkiyədən dərman vasitələrinin idxalının sürətini artırmaq məqsədilə səhiyyə nazirinin təşəbbüsü ilə Tibbi və Əczaçılıq Fəaliyyətinin Tənzimlənməsi Agentliyi tərəfindən dərman vasitələrinin proaktiv qeydiyyatı aparılır. Bu qaydaya əsasən, agentlik artıq 213 dərman vasitəsini dövlət qeydiyyatına alıb ki, bu da əczaçılıq şirkətləri tərəfindən daha sadə üsullarla ölkəyə gətirilə bilər. Dəyişiklik ölkəyə dərman vasitələrinin idxalını daha da asanlaşdıracaq və Gürcüstan bazarında geniş çeşiddə əczaçılıq məhsullarının mövcudluğunu təmin edəcək. Xatırlatmaq istərdik ki, Gürcüstanın baş nazirinin qərarına əsasən, Türkiyənin dərman bazarının açılması nəticəsində dərmanların qiyməti orta hesabla 60-80% ucuzlaşıb. Türkiyədən gətirilən dərmanların siyahısı əczaçılıq sektoru tərəfindən təqdim edilir və şirkətlərdən alınan məlumata əsasən yenilənir. Dərman vasitələrinin siyahısı və onların əldə oluna biləcəyi apteklərin ünvanları ilə bu linkdə tanış olmaq olar: https://www.moh.gov.ge

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის საერთაშორისო ჯილდო - Leader of the Year დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმით მიენიჭა

შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის დაჯილდოების რიგით მე-12 ცერემონიაზე, კომპანია არემჯის საერთაშორისო ჯილდო Leader of the Year უკვე მესამედ გადაეცა. კომპანიას ლიდერის სტატუსი, ობიექტურ რანჟირებაზე დაყრდნობით ამჯერად დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმით მიენიჭა.

"ჩვენმა კომპანიამ უკვე მესამედ აიღო ეს ჯილდო. მიუხედავად ორი რთული, პანდემიური წლისა მოვახერხეთ და შევქმენით 740 ახალი სამუშაო ადგილი, რაც ვფიქრობთ რომ მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიისთვის, რეგიონისთვის და ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. არემჯი არის ლიდერი კომპანია საქართველოში სამთო მოპოვებით დარგში და ლიდერი ამ დარგში დასაქმების კუთხით" - განაცხადა გიორგი ჩხეიძემ, არემჯის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

ბიზნეს რეიტინგების კავშირი 2003 წელს დაარსდა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რვა ქვეყანას აერთიანებს, მათ შორის 2015 წლიდან საქართველოს. ბიზნეს რეიტინგების კავშირის პარტნიორი 2017 წელს გახდა შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაცია, ამ პერიოდიდან ბიზნეს-კომპანიებს გადაეცემათ ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდო Leader of the Year. კომპანიების წარდგენა საერთაშორისო ჯილდოს მისაღებად ხდება იმ მონაცემებზე დაყრდნობით, თუ როგორია კომპანიის წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხები და სხვა.

წლევანდელ ცერემონიაზე საერთაშორისო ჯილდო ჯამში 30 ქართულ და საერთაშორისო კომპანიას გადაეცა. არემჯიმ აღნიშნული ჯილდო უკვე მეორედ მიიღო.

არემჯის მხარდაჭერით ბოლნისელი მევენახე-მეღვინეების პირველი ფორუმი გაიმართა

მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისის" ორგანიზებით, კომპანია არემჯისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბოლნისელი მევენახე-მეღვინეების პირველი ფორუმი გაიმართა.

ფორუმზე, ღვინო ბოლნისის დამფუძნებელმა გურამ ავქოფაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას 2018 წელს მხარეებს შორის გაფორმებული სამმხრივი მემორანდუმის ფარგლებში დღემდე განხორციელებული აქტივობების და ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარუდგინა. ღონისძიებაზე საუბარი იყო მარტში პოლონეთში, ქალაქ კატოვიცაში გამართულ ბოლნისური ღვინოების გამოფენა-დეგუსტაციაზეც, რომელზეც 25 მცირე ტიპის ბოლნისური მარნის 70-მდე სახეობის ღვინო იყო წარდგენილი. ფორუმზე ასევე გამოვლინდა 16 მეღვინე, რომლებსაც საუკეთესო ღვინოების წარმოებისთვის, სარგებლობაში უმაღლესი ხარისხის მუხის კასრები გადაეცათ.

"ამ წლების განმავლობაში ჩვენ ძალიან გავიზარდეთ და განვვითარდით. მევენახე-მეღვინეების პირველი ფორუმიც ამის დასტურია. მოხარული ვარ, რომ ამდენი მევენახე-მეღვინე, ღვინის დარგის ექსპერტი, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურის წარმომადგენელი შეიკრიბა და გაეცნო როგორც ბოლნისურ ღვინოებს, ასევე ადგილობრივი მევენახე-მეღვინეების მიღწევებს. ეს წელი განსაკუთრებული წარმატებით დაიწყო ჩვენთვის. ბოლნისური ღვინო ექსპორტზე ევროპაში - პოლონეთის ბაზარზე გავიტანეთ, რაც კიდევ ერთი დასტურია გაერთიანება "ღვინო ბოლნისის" წარმატებული საქმიანობისა." - განაცხადა გაერთიანება ,,ღვინო ბოლნისის'' დამფუძნებელმა გურამ ავქოფაშვილმა.

ფორუმზე, არემჯის კორპორაციულმა დირექტორმა კახაბერ მჭედლიშვილმა კომპანიის მიერ სოციალური პროექტების დაგეგმვისას და მათი მართვისას, მდგრადი განვითარების პრინციპებით ხელმძღვანელობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რამაც მისი თქმით, „ღვინო ბოლნისს", ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის 4 წლის წინ დაწყებული თანამშრომლობა ასეთი ეფექტური გახადა. მჭედლიშვილმა ასევე სტუმრებს ქართულ-გერმანული ღვინის სახლის პროექტის მიმდინარეობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ქალაქ ბოლნისის ძველ გერმანულ უბანში ხორციელდება.

,,ჩვენ ადგილობრივი მეღვინეობის და ღვინის პოპულარიზაციის მიმართულებით არაერთ პროექტს ვახორციელებთ და ხელს ვუწყობთ გაერთიანება ,,ღვინო ბოლნისს'' როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქართულ-გერმანული ღვინის სახლი სწორედ ამ ხელშეწყობის გაგრძელებაა, რომელიც ბოლნისში შექმნის კიდევ ერთ მიზიდულობის ცენტრს, როგორც გერმანელი ასევე სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტებისთვის. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში ადგილობრივი მეღვინეობის განვითარებას და მათი ღვინოების ცნობადობის ზრდას შეუწყობს ხელს." - აღნიშნა არემჯის კორპორაციულმა დირექტორმა კახაბერ მჭედლიშვილმა.

მეღვინეთა ფორუმს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერები ესწრებოდნენ.

არემჯი სანდრო ბაზაძის ოფიციალური სპონსორია!

როზა გველესიანი

კომპანია არემჯის ინჟინერ - კონსტრუქტორი

„ცხოვრების თავიდან დაწყების საშუალება რომ მქონდეს, ისევ ჩემს საყვარელ პროფესიას ავირჩევდი, რომელსაც 47 წელია დიდი პასუხისმგებლობით ვასრულებ". - როზა გველესიანი კომპანია არემჯის ერთ-ერთი უხუცესი თანამშრომელია, რომელიც საწარმოს ამუშავების დღიდან ინჟინერ-კონსტრუქტორად მუშაობს. წლების განმავლობაში, მის თვალწინ ბევრი რამ შეიცვალა და როგორც თავად ამბობს, თანამედროვე ტექნოლოგიებსაც მარტივად დაეუფლა. კვანძების, დანადგარების რეკონსტრუქციისა და შეკეთების პროექტების მომზადება, ნახაზების შედგენა და კიდევ ბევრი სხვა საქმის კეთება, დღეს უკვე არა ხელით, არამედ კომპიუტერით უწევს.

„1967 წელს სკოლა ტყიბულში დავამთავრე და ამავე წელს მოვეწყვე „ლუგანსკის მანქანათმშენებლობის" უმაღლესში, წარმოების ტრანსპორტის ინჟინერ-მექანიკის სპეციალობით. იმ პერიოდში აუცილებელი იყო სამწლიანი სამუშაო გამოცდილების ქონა, ამიტომ, ყაზახეთის ქალაქ ალმაატაში, საპროექტო კვლევით ინსტიტუტში დავიწყე ჩემი სპეციალობით მუშაობა. საქართველოს გარეშე ძალიან გამიჭირდა და როგორც კი დაბა კაზრეთში საწარმო ამუშავდა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში, მუშაობა ინჟინერ-კონსტრუქტორად დავიწყე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა და გადახალისდა. 2008 წლიდან გადავედი და დავეუფლე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობს, რაც ჩემი საქმის დიდი შემსუბუქებაა. კომპანიაში უამრავი თანამედროვე ტექნიკით ხდება ძველის ჩანაცვლება და ვცდილობ თანამედროვე დანადგარები შევისწავლო. კომპანიაში შეცვლილია წარმოების სოციალური კულტურა და გაცილებით კომფორტული გახდა ყველა თანამშრომლის სამუშაო გარემო პირობები. კომპანიამ 72 წლის ასაკში, „2021 წლის სამთოელის" წოდება მომანიჭა. როდესაც მენეჯერები შენს 47 წლიან გამოცდილებას, შრომასა და სამსახურისადმი სიყვარულს აფასებენ, ეს დიდი პატივია ჩემთვის."

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.